

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4 1 5

ქ. ბათუმი, 03 მაისი 2016 წ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების 1.1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 71-ე მუხლის, 146¹ მუხლის, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152², 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) ბრძანების 1.1 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე“.

გ) ბრძანების 1.3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმი-

ნისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 146¹, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

დ) ბრძანების 1.3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი